საქართველოს იუსტიციის

მინისტრის ბრძანება №119

2009 წლის 29 ივნისი

ქ. თბილისი

კერძო აღმასრულებელთა რეესტრის ფორმისა და რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 14[11] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს კერძო აღმასრულებელთა რეესტრის ფორმა (დანართი №1).
2. დამტკიცდეს კერძო აღმასრულებელთა რეესტრის წარმოების წესი (დანართი №2).
3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს შესყიდვების სამსახურმა უზრუნველყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული რეესტრის ჟურნალების დამზადებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 6 ივნისის ბრძანება № 90 - ვებგვერდი, 06.06.2012 წ.

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზ. ადეიშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 6 ივნისის ბრძანება №90 - ვებგვერდი, 06.06.2012 წ.

დანართი №1

კერძო აღმასრულებელთა რეესტრის ფორმა

№	კერძო აღმასრულებ - ლის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი	სამუშაო ადგილის მისამართი	ლიცენზიის ნომერი და გაცემის თარიღი	ადმინისტრაცული აქტის დასახელება, ნომერი და გამოცემის თარიღი	ლიცენზიის გამცემი ორგანოს იურიდიული მისამართი, ხელმომწერი პირის ვინაობა	რეგისტრაციის ნომერი	შენიშვნა

დანართი №2

კერძო აღმასრულებელთა რეესტრის წარმოების წესი

მუხლი 1

1. კერძო აღმასრულებელთა რეესტრი (შემდგომში – რეესტრი) არის კერძო აღმასრულებლების შესახებ მონაცემთა სისტემური ერთობლიობა.

2. რეესტრის წარმოებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს იურიდიული სამსახური .

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 6 ივნისის ბრძანება № 90 - ვებგვერდი, 06.06.2012 წ.

მუხლი 2

რეესტრის ფორმა (დანართი №2) უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) კერძო აღმასრულებლის სახელი, გვარი;

ბ) კერძო აღმასრულებლის სამუშაო ადგილის მისამართი;

გ) ლიცენზიის ნომერი და გაცემის თარიღი;

დ) ადმინისტრაცული აქტის დასახელება, ნომერი და გამოცემის თარიღი;

ე) ლიცენზიის გამცემი ორგანოს იურიდიული მისამართი და შესაბამის გადაწყვეტილებაზე ხელმომწერი თანამდებობის პირის ვინაობა;

ვ) რეესტრში რეგისტრაციის ნომერი;

ზ) შენიშვნა.

მუხლი 3

1. კერძო აღმასრულებელზე გაცემულ ლიცენზიას ენიჭება შესაბამისი ნომერი. ლიცენზიის ნომერი განისაზღვრება რიგითობის მიხედვით.

2. კერძო აღმასრულებლების თაობაზე მონაცემები (ამონაწერი) გაიცემა რეესტრიდან.